ღგბჯქი+ საკითხების გაქრობა სახელმწიფო პოლიტიკიდან: თანასწორობის გამოწვევები საქართველოში

2025

ლგბტქი+ საკითხების გაქრობა სახელმწიფო პოლიტიკიდან:
თანასწორობის გამოწვევები საქართველოში

ეკატერინე სხილაძე

© ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2025

დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ნორვეგიის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი.

გამოცემის შესაძლოა, არ ასახავდეს ევროკავშირის, UNDP-სა და ნორვეგიის თვალსაზრისს.

მასალის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა WISG-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიებში წყაროს მითითებით.

www.wisg.org
თბილისი
2025

სარჩევი

აბრევიატურები და აკრონიმები 2
შესავალი 3
ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო 5
ინსტიტუციური მექანიზმები და სახელმწიფო პოლიტიკა 10
სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება 12
პოლიტიკური ჰომოფობია და სახელმწიფოს დისკრიმინაციული დისკურსი 14
ულტრამემარჯვენე და ძალადობრივი ჯგუფების გავლენა სახელმწიფო პოლიტიკაზე 17
სახელმწიფოს პოლიტიკის გავლენა ლგბტქი+ ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე ... 18
უსაფრთხოების და დაცულობის საკითხები 19
ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა 20
გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება 21
გენდერის სამართლებრივი აღიარება 22
განათლებისა და შრომის უფლება 22
დასკვნა 23

აბრევიატურები და აკრონიმები

ლგბტქი+	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი, ინტერსექსი და სხვა
CEDAW	ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია
COE	ევროპის საბჭო
CPAC	კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენცია
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
ECRI	რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
EU	ევროპის კავშირი
LGBTQI+	Lesbian, Gay, Bisexual, Transgender, Queer, Intersex and other
PDO	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
UNDP	გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა
UPR	გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა
WISG	ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი

შესავალი

საქართველომ, პოსტსაბჭოთა სივრციდან დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, მიზნად დაისახა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება, ეროვნული კანონმდებლობის ცვლილებები და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება. ამავე პერიოდს უკავშირდება მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების რატიფიცირება, როგორიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, ბავშვთა უფლებების კონვენცია და სხვა. მოგვიანებით, ევროკავშირთან ინტეგრაციის გაცხადებულ სურვილს თან სდევდა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, ამ ცვლილებების თანმდევად, ლგბტქი+ ადამიანების მიმართ დისკრიმინაციული არ ყოფილა, თანასწორობის საკითხები სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი არასდროს არ გამხდარა.

თანასწორობის საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკაზე მუდმივად ახდენდა ზეგავლენას სხვადასხვა ჯგუფების მიერ შედგენილი დღის წესრიგი, რაც მიუთითებს არასაკმარის პოლიტიკურ ნებასა და შექმნილი მექანიზმების სიმყიფეზე. განათლების, ჯანდაცვის თუ სხვა საკითხების განხილვისას, ყოველთვის წინა პლანზე იდგა თუ რა პოზიცია ექნებოდა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, ან ამ საკითხების საჯაროობა ხომ არ გამოიწვევდა ძალადობრივი ჯგუფების მობილიზებას. არცერთი ხელისუფლების პირობებში თანასწორობის იდეა ამ ყოველივეზე წინ არ დამდგარა. ამასვე უკავშირდება ის ფაქტი, რომ ლგბტქი+ თემისთვის შეკრების და გამოხატვის თავისუფლება დღემდე განუხორციელებელ უფლებად რჩება. ამასთან, არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა განათლების და ჯანდაცვის სფეროებში, რაც ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

ნიშანდობლივი იყო 2014 წელს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღების პროცესი, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ერთ-ერთი ვალდებულება იყო. კანონის განხილვის და მიღების პროცესი ძალადობრივი ჯგუფების მიერ ორგანიზებული აქციების და საქართველოს საპატრიარქოს წინააღმდეგობის ფონზე მიმდინარეობდა.[1] თუმცა, იმ დროისთვის ხელისუფლებას ჰქონდა მკაფიო მიზანი მიეღო კანონი, როგორც ვიზალიბერალიზაციის აუცილებელი წინაპირობა. ამას ადასტურებს პრემიერ-მინისტრის იმდროინდელი განცხადებებიც[2]. მიუხედავად იმისა, რომ კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“[3], ლგბტქი+ თემის უფლებების დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიებს ქმნის, მისი პრაქტიკაში განხორციელების არცერთ ეტაპზე თემის საჭიროებები სახელმწიფო პოლიტიკის დღის წესრიგში არ ასახულა და ყოველთვის ზოგადი პოლიტიკის ღონისძიებების ნაწილი იყო.

აღსანიშნავია, რომ თანასწორობის საკითხებზე სახელმწიფოს პოლიტიკა ყოველთვის ნაკლოვანებებით გამოირჩეოდა და არ ასახავდა ყველა სოციალური ჯგუფის საჭიროებებს და გამოწვევებს, თუმცა უკანასკნელი წლების განმავლობაში მეტად თვალსაჩინო გახდა ადამიანის უფლებების სფეროში უკუსვლა, განსაკუთრებით თანასწორობის საკითხებზე. თუ

[1] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/152915
[2] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/31336/
[3] დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი. 2014. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3

წინა წლებში საჯარო დისკურსში სახელმწიფო ფორმალური მიდგომებით და განცხადებებით თანასწორობის საკითხებზე ნეიტრალურ პოზიციებს ინარჩუნებდა, მათ შორის, საერთაშორისო მექანიზმებთან ურთიერთობისას, ბოლო წლებში უკვე აქტიური ქმედებებით, საჯარო განცხადებებით და დისკრიმინაციული კანონმდებლობით დაუპირისპირდა თანასწორობის იდეას, განსაკუთრებით ლგბტქი+ თემისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით.

სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან სათანადო რეაგირების უკმარისობამ, პოლიტიკის დღის წესრიგიდან თანასწორობის საკითხების ფაქტობრივმა გაქრობამ და საზოგადოების ნაწილში გაძლიერებულმა ჰომოფობიურმა რიტორიკამ გამოიწვია ის, რომ ლგბტქი+ ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც ყოველთვის გამოწვევებით ხასიათდება, განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ დადგა. ამ დრომდე არსებული პოლიტიკური ჰომოფობია - დისკრიმინაციულ კანონმდებლობაში ითარგმნა და ფაქტობრივად აკრძალა ლგბტქი+ თემის ძირითადი უფლებების განხორციელება.

2022-2024 წლებში სახელმწიფოს პოლიტიკის კურსის რადიკალურმა ცვლილებამ, მათ შორის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების გაცხადებულმა შეჩერებამ[4], კიდევ უფრო გააღრმავა უთანასწორობის პრაქტიკები. სახელმწიფო თავად იქცა დისკრიმინაციის მთავარ განმახორციელებლად და საკანონმდებლო, თუ პრაქტიკული შეზღუდვების პირობებში შეუძლებელი გახდა ადამიანის უფლებების დაცვისა და თანასწორობის ხელშეწყობა. განსაკუთრებით, ლგბტქი+ ადამიანებისთვის. ამ უკანასკნელმა მოვლენებმა, თავის მხრივ, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა დემოკრატიის გაძლიერებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების საკითხიც.

2024 წელს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის[5] ხოლო 2025 წელს „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის“[6] მიღებამ საფრთხის ქვეშ დააყენა საქართველოში კრიტიკული არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიასაშუალებების ფუნქციონირება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ლგბტქი+ ადამიანებისთვის სერვისების უმრავლესობა, სწორედ, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება, კანონების მოქმედება განსაკუთრებით მძიმედ აისახება ამ ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობაზე.

წლების განმავლობაში სახელმწიფოს ჰომოფობიური რიტორიკის ინსტიტუციონალიზაცია მოახდინა საქართველოს კანონმა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“[7]. კანონის მიღებამდე წარმოებულმა ჰომოფობიურმა სიძულვილის კამპანიამ კიდევ უფრო მეტად დააზარალა თემის წევრები და ამ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები. ამასთან, შეიზღუდა ლგბტქი+ თემის წარმომადგენლების რიგი ფუნდამენტური უფლებები; მათ შორის, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის, გამოხატვის თავისუფლების, შეკრების, სამოქალაქო უფლებები, დასაქმების უფლება, განათლება და სხვა.

ამგვარად, ბოლო პერიოდის პოლიტიკურმა ნაბიჯებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიღწეული პროგრესი. დისკრიმინაციული

---

[4] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33219304.html

[5]უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ საქართველოს კანონი. 2024. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6171895?publication=0

[6] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/legislation/30320

[7] საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ.2024. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0

კანონმდებლობის მიღება საფრთხეს უქმნის არამხოლოდ ლგბტქი+ საკითხების გაქრობას სახელმწიფო პოლიტიკური დღის წესრიგიდან, არამედ უდიდესი დარტყმაა არასამთავრობო სექტორის საქმიანობაზე, გამოხატვის თავისუფლებასა და თანასწორობის უფლებაზე. სახელმწიფოს მხრიდან ჰომოფობიური ნარატივების გავრცელება და სიძულვილის ენის გამოყენება პირდაპირ აზიანებს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესს – გახდეს სრულფასოვანი დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც თითოეულ ადამიანს აქვს თანასწორი უფლებები და თავისუფლებები და ამასთან, ყოველდღიურ ცხოვრებაში ნეგატიურად აისახება ადამიანების საბაზისო უფლებების განხორციელებაზე.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს საქართველოში ლგბტქი+ საკითხების სახელმწიფო პოლიტიკიდან გაქრობის, პოლიტიკურ დისკურსში სიძულვილის ენის და დისკრიმინაციის გამოყენების ტენდენციების, საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე არსებული გამოწვევების ანალიზს და მიზნად ისახავს წარმოაჩინოს, თუ როგორ მოქმედებს ეს ტენდენციები ლგბტქი+ თემის რეალურ უფლებრივ მდგომარეობაზე, ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიან აღსრულებასა და საერთო დემოკრატიული განვითარების პროცესზე.

ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

თანასწორობის პრინციპი საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია, რომელიც ფორმალურად განმტკიცებულია მე-11 მუხლში.[8] მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მუხლი პირდაპირ არ ახსენებს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძვლად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებმა 2008 და 2014 წლებში[9], განმარტა, რომ მე-11 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, აუცილებელია მათი დინამიკური და ინკლუზიური ინტერპრეტაცია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, იმ დამატებით ნიშნებზეც გავრცელდეს აღნიშნული მუხლი, რომლებიც შესაძლოა გახდეს დისკრიმინაციის მიზეზი.

ამ კონტექსტში, 2014 წელს მიღებული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი[10] განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ის პირდაპირ მოიცავს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას როგორც დისკრიმინაციისგან დაცულ საფუძვლებს. კანონი საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების აღსრულების, კერძოდ კი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში იქნა მიღებული. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონის განხილვას თან სდევდა საპროტესტო ტალღა, რომელიც ძირითადად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და მათი მხარდაჭერების მიერ იყო ორგანიზებული, თუმცა მისი მიღება საქართველოს პარალამენტმა მაინც შესძლო.

---

[8] საქართველოს კონსტიტუცია. 1995. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 2008. ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=304

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2014. საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2243812?publication=0

[10] დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი. 2014. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3

იმთავითვე კანონის მიღების ძირითადი მიზეზი სახელმწიფოს მხრიდან დაუცველი ჯგუფების საჭიროებების აღიარება ანდა მათი გამოწვევების დანახვა კი არა - საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება იყო, სწორედ ამიტომ ვერ მოხდა ამ საკითხების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში პრაქტიკული ასახვა. თუმცა იმ პერიოდისთვის ესეც მნიშვნელოვან მიღწევად შეფასდა და ამ თემაზე მომუშავე ადამიანების თუ დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის რეაგირების მექანიზმები შეიქმნა, სახალხო დამცველის და სასამართლოს სახით.

მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სიახლისა, პრაქტიკაში მისი ეფექტური განხორციელება კვლავ დიდ გამოწვევად რჩება. კანონის პრაქტიკაში ეფექტიან ამოქმედებას სახელმწიფო პოლიტიკის თანმდევი პროგრესი სჭირდება, თუმცა საქართველოს შემთხვევაში არცერთი ხელისუფლების პირობებში არ მომხდარა ლგბტქი+ ადამიანების თანასწორობის უფლების სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე დანახვა და მისი ინტეგრირება. ნეიტრალური და ფორმალური მიდგომებიდან - მკვეთრად დისკრიმინაციულ და სიძულვილზე დაფუძნებულ პოლიტიკას შორის, ლგბტქი+ თემის წევრები კვლავ აწყდებიან საზოგადოების მხრიდან უარყოფით დამოკიდებულებას, ძალადობასა და სტიგმას, რაც აჩვენებს, რომ საკანონმდებლო ჩარჩო ჯერაც ვერ ახერხებს არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფას.

პროგრესული ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების მიუხედავად, საარჩევნო პროცესების თუ პოლიტიკური დისკურსის პარალელურად ლგბტქი+ საკითხებით მანიპულირება და საზოგადოების მხარდაჭერის დეზინფორმაციის გზით მოპოვება სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი იყო. ამის მაგალითად უნდა განვიხილოთ განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები, ქორწინების დეფინიციის შესაცვლელად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი[11] ქორწინებას ქალის და კაცის კავშირად მიიჩნევს, პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით წარმოდგენილ იქნა კონსტიტუციურ ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მიღებულ იქნა და ძალაში შევიდა 2018 წლის დეკემბერში. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლში განხორციელებულმა ცვლილებამ, რომელმაც ქორწინება განისაზღვრა მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კავშირად, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ერთი და იმავე სქესის პირების ქორწინებისა თუ პარტნიორობის აღიარების პერსპექტივა ქვეყანაში. აღნიშნული ცვლილება ზღუდავს საქართველოს მოქალაქეთა უფლებებსა და თანასწორობას, ასევე შეეხება იმ წყვილებს, რომლებიც სხვა ქვეყნებში არიან დაქორწინებულნი და სურთ საქართველოში ცხოვრება.[12]

აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიამ წარმოადგინა თავისი მოსაზრებები, სადაც აღნიშნა, რომ კონსტიტუციაში ქორწინების ასეთი ფორმულირება (ქალისა და კაცის კავშირი) არ უნდა იქნას გამოყენებული ისე, რომ გამოირიცხოს ერთი და იმავე სქესის პარტნიორობის ნებისმიერი ფორმა. როგორც ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს, საქართველოს ევალება დაიცვას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტები. აქედან გამომდინარე, კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობას უნდა შეემატოს ერთი და იმავე სქესის

[11] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1106. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=133

[12]საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 30. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=36

წყვილების სამართლებრივი აღიარების ფორმები, როგორიცაა სამოქალაქო კავშირი ან პარტნიორობა.[13]

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში ლგბტქი+ საკითხების გამოჩენის მიმართულებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის, სადაც პირველად გაჩნდა ჩანაწერი გენდერული იდენტობის საკითხებზე, კერძოდ, სამოქმედო გეგმის მე-15 თავი „გენდერული იდენტობა და თანასწორობა", რომელიც 2020 წელს დაემატა სამოქმედო გეგმას.[14] მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ჩანაწერის გაჩენა ეროვნულ სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, მისი პრაქტიკული აღსრულება არ მომხდარა. ამ პრაქტიკისგან განსხვავებით, 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიაში[15] საერთოდ არ არის ნახსენები ლგბტქი+ საკითხები და არც ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმაში არ ასახულა.[16] ევროკავშირის გაფართოების ანგარიშში საქართველოს შესახებ, მოცემულია რეკომენდაციები სახელმწიფო სტრატეგიაში შესაბამისი ცვლილებების ასახვისთვის, რათა ის მოიცავდეს ყველა ჯგუფის, მათ შორის ლგბტქი+ ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის საკითხებს.[17] თუმცა, ეს რეკომენდაციები პრაქტიკაში არ შესრულებულა.

მსგავსი პრობლემა გამოიკვეთა 2022 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ „გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციასთან"[18] დაკავშირებითაც. მართალია, მომზადებული დოკუმენტი მიიჩნეოდა წინგადადგმულ ნაბიჯად 2006 წლის კონცეფციისგან განსხვავებით, თუმცა ის მხოლოდ ქალისა და კაცის უფლებრივ თანასწორობაზეა კონცენტრირებული. ამგვარად, კონცეფცია ვერ უზრუნველყოფს გენდერული მრავალფეროვნების აღიარებას და სრულიად უგულებელყოფს ლგბტქი+ თემის წევრების უფლებრივ საჭიროებებს, რაც კვლავ მეტყველებს საკანონმდებლო ჩარჩოს არათანმიმდევრულობასა და ფორმალურ ხასიათზე.

გარდა ამისა, საქართველოში კვლავ არ არსებობს სამართლებრივი რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს ტრანსგენდერი პირების გენდერის სამართლებრივ აღიარებას, ხოლო არსებული პროცედურები ბუნდოვანია. აღნიშნულ საკითხზე 2022 წლის 1 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მიუთითებს, რომ საქართველოს სახელმწიფომ დაარღვია პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია უფრო მკაფიო და გამჭვირვალე საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ტრანსგენდერ ადამიანებს საშუალებას მისცემს, შესაბამისად განახორციელონ თავიანთი უფლება გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე.[19]

---

[13] ვენეციის კომისია (2017) დასკვნის პროექტი კონსტიტიციურ ცვლილებებზე. ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2017)006-e

[14] საქართველოს მთავრობის დადგენილება N116. 2020. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4800846?publication=0

[15] საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022−2030 წლებისთვის). 2023. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5757268?publication=0

[16] ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმა. 2023. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6053557?publication=0

[17] 2024 წლის ევროკავშირის გაფართოების ანგარიში საქართველოს შესახებ. 2024. ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/7b6ed47c-ecde-41a2-99ea-41683dc2d1bd_en?filename=Georgia%20Report%202024.pdf

[18] გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია. 2022. ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/5664358?publication=0

[19] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://hudoc.exec.coe.int/#{%22execidentifier%22:[%22004-62861%22]}

2022-2024 წლებში სახელმწიფო პოლიტიკა მკვეთრად დისკრიმინაციული გახდა და არათუ თანასწორობის საკითხების დღის წესრიგიდან გაქრობა, არამედ ღია და გაცხადებული დისკრიმინაციული რიტორიკა დაემატა. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ორი საკანონმდებლო ინიციატივა. ე.წ. უცხოური ზეგავლენის შესახებ საქართველოს კანონის მიღება და ე.წ. ოჯახური ღირებულებების და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონის მიღება, რომელსაც წინ ჰომოფობიური და სიძულვილის ორგანიზებული კამპანია უძღოდა.

საქართველოში ლგბტქი+ თემის წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ინიციატივები რამდენიმე საფეხურს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის მაისამდე ხელისუფლება ღიად არ აცხადებდა, რომ მსგავსი კანონპროექტების მიღებას აპირებდა, მომდევნო თვეებში პოლიტიკურ დღის წესრიგში მკვეთრად შემოტანილ იქნა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის ინიცირებისა და მასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებების თემა. ადრეული ინიციატივები შეეხებოდა ე.წ. „ლგბტ პროპაგანდის“ აკრძალვას. 2022 წლის დეკემბერში, კონსერვატიულმა მოძრაობა „ალტ-ინფომ“ პარლამენტში წარადგინა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ლგბტქი+ „პროპაგანდის“ აკრძალვას.[20] 2023 წლის 1 ივლისს, თბილისში „პრაიდის კვირეულის“ კონტექსტში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ითხოვს საკანონმდებლო ზომებს „ლგბტ პროპაგანდის“ წინააღმდეგ.[21] 2024 წლის თებერვალში პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ და მასთან დაკავშირებული „ხალხის ძალის“ წევრები ღიად აკრიტიკებენ ქვიარ ინიციატებს და აძლიერებენ ლგბტქი+ „პროპაგანდის“ წინააღმდეგ მიმართულ რიტორიკას, ამასთან განაცხადეს რომ ამზადებენ კანონპროექტს „ლგბტ პროპაგანდის“ და „ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის“ წინააღმდეგ.[22]

2024 წლის 3 აპრილს საქართველოს პარლამენტის ბიუროში ოფიციალურად რეგისტრირდება კონსტიტუციური კანონის პროექტი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“. ამავე თვეში, პარლამენტმა დაამტკიცა 13 ადამიანისგან შექმნილი კომისია, რომელიც ახორციელებდა საჯარო განხილვებს წარმოდგენილ კონსტიტუციურ ცვლილებებზე. ეს საჯარო განხილვები გამოყენებული იყო პროპაგანდისტული დეზინფორმაციის გავრცელების, დისკრიმინაციის და ძალადობის წახალისებისთვის ლგბტქი+ ადამიანების და მათ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიმართ.[23]

ვენეციის კომისიამ, საქართველოში „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საკონსტიტუციო კანონის პროექტზე წარმოდგენილ თავის პოზიციაში[24], შეშფოთება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა შესაძლოა ზღუდავდეს ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს. კომისიის შეფასებით, კანონპროექტში არსებული ზოგიერთი დებულება შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებთან ადამიანის უფლებების სფეროში. ვენეციის კომისიამ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ „ოჯახური ღირებულებების“ დაცვის სახელით მიღებული ნორმები არ უნდა გახდეს საფუძველი

[20] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32390522.html
[21] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/sazupatriarchate/posts/pfbid0cG8y1Y2P2abP3fWdvHtgSWt4D2kpw23KyGLkbVnkUMmvivqX92ig6TMDpoCCfWcwl
[22] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/967257038098428?ref=embed_post
[23] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/lcNBU
[24] ვენეციის კომისია. მოსაზრება კანონის პროექტზე ოჯახური ფასეულობებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ. 2024. ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)021-e

მარგინალიზებული ჯგუფების, მათ შორის ლგბტქი+ პირების, უფლებრივი შეზღუდვებისთვის.

2024 წლის 4 ივნისს, მმართველი პარტიის მიერ წარდგენილ იქნა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას და დამატებით ცვლილებებს სხვადასხვა კანონებში. ამით ცხადი გახდა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება პოლიტიკურ პარტია „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ დეზინფორმაციის გავრცელებისთვის სჭირდებოდა და მათი რეალური მიზანი კონკრეტული კანონის მიღება იყო. კერძოდ, კონსტიტუციური ცვლილების პროექტის ერთადერთი მიზანი საყოველთაო სახალხო განხილვების ორგანიზება და მათი პოლიტიკური ხედვების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა იყო, როგორც ამომრჩეველთა მობილიზების გზა. კანონი 2024 წლის 17 სექტემბერს მესამე მოსმენით იქნა მიღებული, 84 ხმით არცერთის წინააღმდეგ, ხოლო ძალაში 2 დეკემბრიდან შევიდა.[25]

2025 წელს კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლითაც მოქმედი 15 კანონიდან სიტყვა გენდერი ამოიღეს და ჩაანაცვლეს სიტყვებით „კაცი და ქალი“, „სქესი“. გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის ახალი სახელწოდება „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ კანონი გახდა. საქართველოს პარლამენტმა ამ ცვლილებებს 2025 წლის 2 აპრილს დაუჭირა მხარი.[26] ცვლილების ძირითადი მიზანი სიტყვა გენდერის გაქრობასთან ერთად, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პოლიტიკური დისკურსის ცვლილებაცაა. რაც მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხარდაჭერის მოპოვების მცდელობადაც შესაძლოა შეფასდეს.

2025 წლის 2 აპრილს, საქართველოს პარლამენტს წარედგინა ბუნდოვანი საკანონმდებლო წინადადება, საქართველოში ლგბტქი+ სიმბოლიკის აკრძალვის შესახებ. წინადადების ავტორი საერთაშორისო ასოციაცია „დაიცავი შენი წილი სამშობლო" პარლამენტისადმი წარდგენილ ტექსტში მიუთითებს: *„გთხოვთ, სასწრაფოდ მიიღოდ კანონი, საქართველოში ლგბტ ე.წ. მარსების აკრძალვის შესახებ... ასევე, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში აკრძალული უნდა იყოს კანონით, ფერადოვანი ლგბტ ჭინჭები.“*[27] საყურადღებოა, რომ საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს დაევალა საკანონმდებლო წინადადების განხილვა და გადაწყვეტილების ბიუროსთვის მიწოდება.[28]

ყოველივე ეს აჩვენებს, თუ როგორ განვითარდა ლგბტქი+ საკითხების სახელმწიფო პოლიტიკიდან განდევნისა და დისკრიმინაციული საკანონმდებლო ინიციატივების გაძლიერების ტენდენცია საქართველოში. აღნიშნული ინიციატივები, ოფიციალური პირებისა და სასულიერო ლიდერების ჰომოფობიურ რიტორიკასთან ერთად, აჩვენებს, რომ ქვეყანაში იზრდება საფრთხე, ლგბტქი+ თემის უფლებრივი სივრცე კიდევ უფრო შეიზღუდოს. ამასთან, პოლიტიკური დისკურსის გავლენა განსაკუთრებით დიდია ლგბტქი+ ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

---

[25] საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ.2024. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0

[26] ინფორმაცია საკანონმდებლო პაკეტის შესახებ ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/legislation/30327

[27] იგულისხმება მარშები, ციტირება გადმოტანილია საკანონმდებლო წინადადებიდან, რომელიც ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/385166

[28] საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება N36/2, 2025 წლის 4 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/385188

განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ლგბტქი+ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები ისედაც განიცდიან დევნას და შევიწროებას, მათ შორის დისკრიმინაციული კანონმდებლობით. კერძოდ, 2024 წელს მიღებული კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, ავალდებულებს არასამთავრობო ორგანიზაციებს დარეგისტრირდნენ სპეციალურ რეესტრში და სახელმწიფოს ანიჭებს უფლებას მიიღოს წვდომა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებზეც.[29] კანონის განხილვის პროცესს თან ახლდა დეზინფორმაციისა და დისკრედიტაციის კამპანია არასამთავრობო სექტორის მიმართ, არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებსა და უფლებადამცველთა საცხოვრებელი სახლების კედლებზე შეურაცხმყოფელი წარწერების დატოვება და პოსტერების გაკვრის პრაქტიკა. ასეთმა ვითარებამ რამდენიმე ლგბტქი+ ორგანიზაცია აიძულა, შეეცვალათ ოფისი. ამასთან, 2025 წლის პირველ აპრილს, საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა ახალ კანონს „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტს“, რომელიც უფრო მეტად რეპრესიული ბუნების მატარებელია და არსებით შეზღუდვებს აწესებს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე, მათ შორის ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.[30]

ინსტიტუციური მექანიზმები და სახელმწიფო პოლიტიკა

თანასწორობის საკითხებზე სპეციფიკური, დამოუკიდებელი მექანიზმი, რომელიც ლგბტქი+ თემის საჭიროებებს უპასუხებდა, საქართველოში დღემდე არ არსებობს. სამთავრობო დონეზე მოქმედი ორგანოებიდან, რომლებიც ფორმალურად ასრულებენ თანასწორობის საკითხებზე ზედამხედველობისა და პოლიტიკის შემუშავების ფუნქციებს, ორი ძირითადი მექანიზმი შეგვიძლია გამოვყოთ: პარლამენტის „გენდერული თანასწორობის საბჭო“ და „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისია“. ამასთან, მნიშვნელოვანია საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის ორგანოს როლი.

პარლამენტის „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ მიზანია განახორციელოს საპარლამენტო ზედამხედველობა, საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და პოლიტიკის ფორმირება, რათა გენდერული თანასწორობა რეალურად აისახოს როგორც პარლამენტის შიგნით, ისე სხვა სახელმწიფო უწყებებში. მიუხედავად ამისა, საბჭოს მიდგომა ძირითადად ვიწრო, ჰეტერონორმატიული გაგებით შეზღუდულ გენდერულ საკითხებზეა კონცენტრირებული, ხოლო ლგბტქი+ თემის საჭიროებები მის დღის წესრიგში ფაქტობრივად არ ხვდება. ამასთან, ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენების ფონზე, საბჭოს ფორმალური საქმიანობაც კი შეჩერდა და აზრი დაკარგა მისმა როლმა, არალეგიტიმური პარლამენტის პირობებში. 2023 წელს ქალთა ორგანიზაციები ითხოვდნენ საბჭოს თავმჯდომარის, ნინო წილოსანის გადადგომას, ვინაიდან იგი თავად აჟღერებდა სექსისტურ მოსაზრებებს და მონაწილეობდა დისკრიმინაციული საკანონმდებლო ინიციატივების მომზადებაში.[31] აღსანიშნავია, რომ 2025 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ასევე უქმდება გენდერული თანასწორობის საბჭო,

[29] უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ საქართველოს კანონი. 2024. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6171895?publication=0
[30] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/legislation/30320
[31] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://tbilisipride.ge/2023/06/30/qaltha-uphlebebze-da-genderul-thanastsorobaze-momushave-arasamthavrobo-organizatsiebis-gantskhadeba/?fbclid=IwAR0d_vh1H7kLAUky9EmnP74FJsx1GnL9BKYwX6ukpVjK0OTKWXVnZU1JQ3M

რაც პირდაპირი განაცხადია, ისედაც ფორმალურად არსებული მექანიზმის სრული გაქრობის სახით.[32]

მეორე ინსტიტუციური მექანიზმი — „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისია“ — მთავრობის აღმასრულებელი რგოლების დონეზე კოორდინირებს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებას, უზრუნველყოფს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას და სხვადასხვა სამინისტროებსა და სააგენტოებს შორის თანამშრომლობას. კომისიის ხელმძღვანელია პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების საკითხებში, ხოლო თანათავმჯდომარის პოზიციას იუსტიციის მინისტრის მოადგილე იკავებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მექანიზმს ფორმალურად თამამი მიზნები აქვს — მათ შორის, გენდერული ასპექტების ინტეგრირება ყველა სახელმწიფო პოლიტიკაში, — პრაქტიკა აჩვენებს, რომ ლგბტქი+ თემის საკითხები კომისიის დღის წესრიგში ფაქტობრივად არ ხვდება. ამასთან, ბოლო წლების განმავლობაში კომისიის საქმიანობა ფორმალურადაც არ ხორციელდება. საგულისხმოა, რომ 2021 წელს, პრემიერ-მინისტრის მრჩევლის თანამდებობიდან გაქრა სიტყვა „გენდერი“, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს სახელმწიფო პილიტიკის ტენდენციის.

2018 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ „ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის“ შექმნით. დეპარტამენტის საქმიანობის პირველ წლებში არაერთი სამუშაო პროცესი და პლატოფრმა შეიქმნა, მათ შორის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების საკითხებზე. თუმცა, ეს პროცესი შეჩერდა და ბოლო წლების განმავლობაში დეპარტამენტი აღარ თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ასევე, მათი მუშაობის თემატიკაში არ ჩანს ლგბტქი+ საკითხებისადმი მგრძნობიარე დამოკიდებულება და გაქრა საჯარო პოზიციონირების ნაწილიც.

საქართველოს სახალხო დამცველი წარმოადგენს თანასწორობის მთავარ ორგანოს, რომელსაც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის აღსრულება აკისრია. წლების განმავლობაში, სახალხო დამცველის აპარატმა შექმნა მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრაქტიკა, ასევე მოამზადა ლგბტქი+ საკითხებზე კვლევები და რეკომენდაციები. 2013 წელს სახალხო დამცველმა პირველად მიუთითა ლგბტქი+ პირების პრობლემებზე საპარლამენტო ანგარიშში, ასევე, ამავე წლის 17 მაისს, გაკეთდა პირველი განცხადება ლგბტქი+ თემის მხარდასაჭერად, ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს. თუმცა, ბოლო პერიოდში, სახელმწიფო პოლიტიკის საერთო უკუსვლის ფონზე, აღნიშნული ინსტიტუტის საჯარო პოზიციონირებაც შესამჩნევად შეიცვალა. 2024 წელს სახალხო დამცველმა საერთოდ არ გააკეთა განცხადება 17 მაისს, მით უფრო მაშინ, როდესაც ლგბტქი+ თემი კვლავ დგას ძალადობისა და ჰომოფობიის საფრთხის წინაშე. მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველს არც ანტი-ლგბტქი+ („ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“) კანონის შესახებ გამოუქვეყნებია ოფიციალური პოზიცია[33], მიუხედავად იმისა, რომ მისი მანდატი პირდაპირ უკავშირდება დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას. სახალხო დამცველი არც სახელისუფლებლო პარტიის და საჯარო პირების მიერ გამოყენებულ სიძულვილის და დისკრიმინაციულ ენას არ გამოხმაურებია საჯარო განცხადებებით.

[32] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/legislation/30327

[33] კანონის შესახებ შეფასება აისახა საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში, რომელის საქართველოს პარლამენტს 2025 წლის 31 მარტს წარედგინა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფორმალურად არსებობს რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურა, რომლებიც გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობენ, არც ერთი მათგანი პირდაპირ არ ფარავს ლგბტქი+ პირების უფლებრივ საჭიროებებს. მეტიც, ბოლო წლებში რეალურად შეიმჩნევა პოლიტიკის უკუსვლა: „გენდერი“ გაქრა პრემიერ-მინისტრის მრჩევლის სტატუსიდან, ხოლო საჯარო უწყებები, რომლებიც ადრე ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის სათავეებთან იდგნენ, ლგბტქი+ საკითხებზე საჯარო პოზიციონირებას მხოლოდ ფრაგმენტულად ან საერთოდ აღარ იყენებენ. ეს ტენდენცია აჩვენებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ლგბტქი+ საკითხების უგულებელყოფა გრძელდება, რაც აჩენს კიდევ უფრო ფართო დისკრიმინაციის საფრთხეს.

სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება

საქართველო მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და ორგანიზაციის წევრია, რაც მას ავალებს, დაიცვას ლგბტქი+ თემის უფლებები და განახორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო, ინსტიტუციური თუ პოლიტიკის ხარვეზების აღმოფხვრა. ამ ვალდებულებებს ძირითადი საყრდენი აქვს სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტში, მათ შორის: გაეროს კონვენციებში, ევროპის საბჭოს სტრუქტურებში, ევროკავშირის დოკუმენტებში, ასევე გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) რეკომენდაციებში. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის დონეზე საქართველომ გარკვეული წინსვლა აჩვენა (მაგალითად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი, 2014), უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა ტენდენცია, სადაც ლგბტქი+ საკითხები კვლავ ამოღებულია სახელმწიფო პოლიტიკური დღის წესრიგიდან, ქვეყანაში მოქმედებს დისკრიმინაციული კანონმდებლობა, ხოლო საერთაშორისო რეკომენდაციები სათანადოდ არ სრულდება.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW კომიტეტი) დასკვნით შეფასებებში, საქართველოს მე-6 პერიოდული ანგარიშის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს საკანონმდებლო და სხვაგვარი ზომები ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის და დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, ასევე, უზრუნველყოს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და თავშესაფრების და ყველა სხვა სერვისის ადაპტირება მათ საჭიროებებთან.[34] აღნიშნულის მიუხედავად, სახელმწიფოს პოლიტიკა არათუ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდისკენ არის მიმართული, არამედ საერთოდ კრძალავს ლგბტქი+ საკითხების ინტეგრირებას და თემის რიგი ფუნდამენტური უფლებების განხორციელებას.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) საქართველოს მიმართ, მე-5 შეფასების ანგარიშში 15 რეკომენდაციაა წარმოდგენილი. მათგან რამდენიმე ლგბტქი+ საკითხებს მიემართება. კერძოდ, კომისია მოუწოდებს სახელმწიფოს განიხილოს არსებული კანონმდებლობა, რათა შეაფასოს, რა პრობლემებს აწყდებიან თავიან ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილები იმის შედეგად, რომ ერთი სქესის მქონე პირთა პარტნიორობა ქვეყანაში არ არის აღიარებული. ამასთან, მიუთითებს, რომ ხელისუფლებამ მკაფიოდ უნდა დაარეგულიროს პირის გენდერის ოფიციალური აღიარების კრიტერიუმები. კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან. კომისია ასევე მიუთითებს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, მათ შორის ფიზიკური

[34] Concluding observations on the 6th periodic report of Georgia: Committee on the Elimination of Discrimination against Women. ხელმისაწვდომია: https://digitallibrary.un.org/record/4007519?ln=en&v=pdf#files

თავდასხმა და მუქარა, კვლავ სისტემურ პრობლემად რჩება, ხოლო ხელისუფლების მხრიდან რეაგირება არასათანადოა. კომისია ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს სიძულვილის მოტივის დამამძიმებელი გარემოება როგორც სისხლისსამართლებრივ, ისე ადმინისტრაციულ სამართლებრივ დონეზე, გაუმჯობესდეს სამართალდამცავი ორგანოების გადამზადება ლგბტქი+ საკითხებზე და შემუშავდეს ეფექტიანი მექანიზმები ძალადობის პრევენციისა და გამოძიებისთვის.[35]

გაეროს საყოველთაო პერიოდული მიმოხილვის (UPR) პროცესში საქართველო პერიოდულად იღებს რეკომენდაციებს, რომელთა მიზანია ლგბტქი+ პირების დაცვისა და თანასწორობის უზრუნველყოფა, როგორიცაა ჰომოფობიურ ძალადობაზე სწრაფი რეაგირება, განათლების სფეროში ინკლუზიური პროგრამების დანერგვა, ასევე უსაფრთხო შეკრების უფლების უზრუნველყოფა.[36] მიუხედავად ამისა, ახალმა ანტი-ლგბტქი+ კანონის გამო სახელმწიფომ არა მხოლოდ ვერ შეასრულა UPR-ის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები, არამედ არსებითად შეზღუდა გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება, რაც ხაზს უსვამს იმ ჩავარდნას, რაც საერთაშორისო სტანდარტების შესრულებაში შეიმჩნევა.

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის და ძალადობის წინააღმდეგ გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტი საქართველოში არსებულ ჰომოფობიურ გარემოს საგანგაშოდ მიიჩნევს. ექსპერტმა ქვეყანაში ვიზიტის შესახებ 2019 წლის ანგარიშში ხაზი გაუსვა ინსტიტუციური ქმედებების ნაკლებობას, სამართალდამცავ სტრუქტურებში ჰომოფობიური დამოკიდებულებების არსებობას და გაუმართავ კანონმდებლობას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს. ანგარიშში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ქვეყანაში ლგბტქი+ თემის მიმართ ძალადობა და დისკრიმინაცია სისტემურ პრობლემად რჩება. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა გაატაროს ფართომასშტაბიანი საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმები, რათა გაამკაცროს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სამართლებრივი რეგულირება, უზრუნველყოს პოლიციისა და სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა სპეციალური გადამზადება და დაუყოვნებელი რეაგირება ჰომოფობიური ან ტრანსფობიური ძალადობის შემთხვევებზე. ექსპერტი ასევე აღნიშნავს, რომ სამთავრობო სტრატეგიებში პირდაპირ უნდა ჩაიდოს ლგბტქი+ თემის უფლებრივი საჭიროებები, განათლების პროგრამებში კი გათვალისწინებულ იქნას ინკლუზიური ხედვა, რათა ჰომოფობიური და ტრანსფობიური დამოკიდებულებები აღმოიფხვრას როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო სივრცეში.[37]

ევროკავშირის გაფართოების შესახებ ანგარიშებში ხაზგასმითაა აღნიშნული ის უკუსვლა რაც საქართველომ ლგბტქი+ საკითხების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებიდან გაქრობით თუ დისკრიმინაციული კანონმდებლობის შემუშავებით მიიღო. ევროკავშირი არაერთხელ მიუთითებს, რომ ჰომოფობიური განწყობებისა და ძალადობის მასშტაბი საქართველოში კვლავ შემაშფოთებელია. გამწვავებული ჰომოფობიური რიტორიკა დასვამს ეჭვსქვეშ ქვეყნის მზადყოფნას, შეასრულოს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტები.[38]

---

[35] Fifth report on Georgia (adopted on 28 March 2023 / published on 22 June 2023). ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/european-commission-against-racism-and-intolerance/georgia

[36] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.ohchr.org/en/hr-bodies/upr/ge-index

[37] Visit to Georgia: Report of the Independent Expert on Protection Against Violence and Discrimination Based on Sexual Orientation and Gender Identity, 2019. Available at: https://shorturl.at/gpuX8

[38] ანგარიშები ხელმისაწვდომია: https://enlargement.ec.europa.eu/european-neighbourhood-policy/countries-region/georgia_en

შეჯამებისთვის, საქართველო ფორმალურად იღებს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, თუმცა, რეალობაში, ლგბტქი+ საკითხების სახელმწიფო პოლიტიკიდან გაქრობა და დისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღება მიუთითებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ერთიანი ნება და სისტემური მიდგომა ამ საკითხების პრაქტიკაში გატარებისთვის არ არსებობს. ადამიანის უფლებადაცვითი მექანიზმების მიერ გაცემული რეკომენდაციები ნათლად განსაზღვრავს კონკრეტულ ნაბიჯებს, რომლებიც დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებისა და ლგბტქი+ თემის დაცვისკენაა მიმართული, თუმცა სამწუხაროდ, მისი შესრულების პოლიტიკური ნება ქვეყანაში არ არსებობს.

პოლიტიკური ჰომოფობია და სახელმწიფოს დისკრიმინაციული დისკურსი

საქართველოში, ძალიან ხშირად შეინიშნება მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან ლგბტქი+ თემის მიმართ დისკრიმინაციული განცხადებები და სიძულვილის ენის გამოყენება. ასეთი რიტორიკა არა მხოლოდ აღრმავებს უკვე არსებულ დისკრიმინაციულ მიდგომებს, არამედ ქმნის საშიშ გარემოს, სადაც ლგბტქი+ პირები შევიწროებისა და ძალადობის მაღალ რისკს განიცდიან. სახალხო დამცველის ანგარიშებში აღნიშნულია დისკრიმინაციის წახალისების კონკრეტული შემთხვევები, მათ შორის პოლიტიკოსების მხრიდან. მაგალითისთვის, 2022 წლის თანასწორობის მდგომარეობის ანგარიში უთითებს, რომ ,,მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან ხშირად გამოიყენება ლგბტ+ ადამიანების მიმართ შეურაცხმყოფელი და სიძულვილის ენის შემცველი გამონათქვამები, რომლებიც ახალისებს დისკრიმინაციას და ქმნის საფრთხეს, რომ ლგბტ+ თემის წევრები, სექსუალური ორიენტაციის თუ გენდერული იდენტობის გამო, მომავალში შევიწროებას ან/და ძალადობას დაექვემდებარებიან.''[39]

2021 წელს ჩატარებული კვლევის „წინარწმენიდან თანასწორობამდე" შედეგების მიხედვით, „რესპონდენტთა ნაწილი თვლის, რომ საჯარო სივრცეში ჰომო/ბი/ტრანსფობიის ტირაჟირებას არა თვითორგანიზებული ადამიანები, არამედ, პოლიტიკურად დაინტერესებული მხარეები და მიზანმიმართულად მობილიზებული ჯგუფები ახდენენ. რესპონდენტთა დიდი ნაწილი ყველა გამოკითხული ჯგუფიდან თვლის, რომ ჰომოფობია, ისევე როგორც ლგბტქი საკითხები საჯარო სივრცეში ინსტრუმენტალიზებულია სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მიერ. შესაბამისად, აგრესია ლგბტქი ჯგუფის მიმართ არის არა იმდენად ლოკალური, დეცენტრალიზებული და თვითორგანიზებული, რამდენადაც „ზემოდან ქვემოთ" ინიცირებული და პოლიტიკური."[40]

ამ შედეგებს ადასტურებს საჯარო პირების თუ პოლიტიკოსების მხრიდან ღიად წარმოებული სიძულვილის ენის და დისკრიმინაციის წამახლისებელი ქმედებებიც. მათ შორის, 2023 წლის მაისში, უნგრეთში გამართულ კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაზე (CPAC), საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საჯაროდ გამოხატა კონსერვატიულ და მკვეთრად პრორუს ლიდერებთან სიახლოვე, რაც ქვეყანაში მმართველი გუნდის იდეოლოგიური გადასხვის მაუწყებელი იყო. მან საერთაშორისო კონფერენციაზე განაცხადა, რომ „ყველას უფლებებს დავიცავთ", თუმცა

[39] საქართველოს სახალხო დამცველი. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2022 წლის სპეციალური ანგარიში. (2023) ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2023041111202542068.pdf

[40] კვლევის შედეგები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე (გვ.118): https://wisg.org/Data/docs/publications/research-study/WISG-From-Projudice-to-Equality-2022.pdf

„არ მივცემთ უმცირესობას უფლებას, უმრავლესობა გამოიყენონ... [და] თავდასხმა განახორციელონ იმ ღირებულებებზე, რომლებიც უმრავლესობისთვისაა წმინდა“.[41]

იგივე ტენდენცია თვალსაჩინო გახდა 2021 წლის ივლისში, როდესაც თბილისში „პრაიდის კვირეული“ ჩატარდა. ხელისუფლებამ ღონისძიება პოლიტიკურ მოვლენად აქცია და უარყოფითი შეფასებებით წარმოაჩინა. პრემიერი ღარიბაშვილი მოგვიანებით საჯაროდ აცხადებდა, რომ „ღირსების მარში“ „სამოქალაქო დაპირისპირებას“ გამოიწვევს და მას „რევანშისტული და რადიკალური“ ძალები იყენებენ. მისივე განცხადება მოიცავდა საზოგადოების სიცრუეში შეყვანის და მანიპულაციის ელემენტებს, კერძდო აღნიშნა, რომ მოსახლეობის 95% ეწინააღმდეგებოდა „პროპაგანდისტული მსვლელობის“ გამართვას, რის გამოც მთავრობის ვალდებულება იყო, არ დაეშვა მსგავსი ღონისძიების განხორციელება. ამგვარად, პრემიერ-მინისტრმა ღიად დაამკვიდრა იდეა, თითქოს ლგბტქი+ თემის საჯარო გამოხატვა ხალხის უმრავლესობის წინააღმდეგობას უპირისპირდება.[42] იმას, რომ ეს ინფორმაცია საზოგადოების შეცდომაში შემყვანია ადასტურებს 2021 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც, „მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (53%) კვლავ ემხრობა მოსაზრებას, რომ ლგბტ(ქ)ი ადამიანებს კანონით უნდა აეკრძალოთ შეკრებისა და გამოხატვის უფლება, 2016 წელთან შედარებით, როცა ეს მონაცემი 78.1% იყო, ამგვარი მოსაზრების მქონე რესპონდენტთა წილი თითქმის მეოთხედითაა შემცირებული, ხოლო იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ასეთ შეზღუდვას მიუღებლად მიიჩნევს, ორჯერ არის გაზრდილი.“[43]

სახელმწიფო რიტორიკაში ჰომოფობია განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა 2023-2024 წლებში, როცა პარლამენტში დაიწყო ანტი-ლგბტქი+ კანონის განხილვა („ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“). ხელისუფლების ოფიციალური პირები ღიად იყენებდნენ ჰომოფობიურ ენას, ხოლო კანონპროექტის მხარდამჭერი კამპანია ხშირად საუბრობდა ლგბტქი+ თემის „დამანგრეველ გავლენაზე“ საზოგადოებრივ ღირებულებებზე. საჯარო სივრცეში განსხვავებით წინა წლებისგან უკვე აღარ იფარება სიძულვილის ენა — პირიქით, პოლიტიკოსები ხშირად აპელირებენ ძალადობის ლეგიტიმაციაზე იმ არგუმენტით, რომ, თითქოს, ლგბტქი+ პირები „უმრავლესობის წინააღმდეგობას“ აწყდებიან და, შესაბამისად, ხელისუფლებას მათი უფლებების შეზღუდვა უწევს.

ამრიგად, პოლიტიკური ჰომოფობია, რომელიც მეტად თვალსაჩინო გახდა როგორც სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირების განცხადებებში, ისე კანონშემოქმედების პროცესში, ლგბტქი+ პირების უფლებრივ უსაფრთხოებას კიდევ უფრო უთხრის ძირს. მთავრობის წარმომადგენლების გამონათქვამები ლეგიტიმაციას აძლევს არა მხოლოდ იდეოლოგიურ, არამედ პრაქტიკულ შევიწროებასაც, რომელსაც ჰომოფობიური ჯგუფები ახორციელებენ.

ამის ფონზე, საქართველოს მასშტაბით ჩატარებული უახლესი კვლევები აჩვენებს, რომ საზოგადოებაში ჰომოფობიური დამოკიდებულება კვლავ ძლიერად ინარჩუნებს პოზიციებს. ამ მოვლენაზე გავლენას ახდენს სახელმწიფოს მხრიდან იმის აღიარების სიმწირე, თუ რა პრობლემებს აწყდება ლგბტქი+ თემი, პოლიტიკოსების მიერ სიძულვილის ენის გამოყენება

[41] Gabritchidze, N. (2023). Georgian PM's far-right bromance draws concerns. Eurasianet. Retrieved from https://eurasianet.org/georgian-pms-far-right-bromance-draws-concerns

[42] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/431681

[43] კვლევის შედეგები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე (გვ.21): https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_lgbtqi_wisg_geo_eng.pdf

და საჯარო სივრცეში ლგბტქი+ ჯგუფის გამოწვევების ფაქტობრივი უგულებელყოფა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს დისკრიმინაციულ განწყობებს.

2016 წელს ჩატარებულმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ ინდივიდების უფლებებისადმი დამოკიდებულება ასაკისა და განათლების დონეზე იყო დამოკიდებული: ახალგაზრდებს უფრო მაღალი მიმღებლობა ახასიათებდათ. თუმცა, განათლებასთან ერთად, მტკიცე როლს თამაშობდა მითები, ჰომოფობიური სტერეოტიპები და რელიგიური ფუნდამენტალიზმის ხარისხიც.[44]

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ 2020 წელს ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს—კაცებსაც და ქალებსაც—შერცხვებოდა, ჰომოსექსუალური შვილი რომ ჰყოლოდათ, ხოლო უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ჰომოსექსუალურ პირებს არ უნდა მიეცეთ ბავშვებთან მუშაობის უფლება. ამასთან, არაერთი გამოკითხული ეწინააღმდეგებოდა, ჰყოლოდა ჰომოსექსუალი მეგობარი ან მეზობელი. შედეგად, ჰომოსექსუალი პირები, მესამე ადგილს იკავებდნენ „არასასურველ მეზობლად“ შეფასებისას.[45]

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ვითარება გაუმჯობესებულია წინა წლებთან შედარებით, რაც გვაფიქრებინებს რომ სახელმწიფოს დისკრიმინაციული პოლიტიკის მიუხედავად, საზოგადოება მეტად შემწყნარებელია ლგბტქი+ თემისადმი. კერძოდ, 2022 წელს ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, თითქმის 20 პროცენტული პუნქტით შემცირდა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვინც ნეგატიურად აფასებდა აქტივისტების საქმიანობას (74.5%-დან 56.8%-მდე).მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (53%) კვლავ ემხრობა მოსაზრებას, რომ ლგბტ(ქ)ი ადამიანებს კანონით უნდა აეკრძალოთ შეკრებისა და გამოხატვის უფლება, 2016 წელთან შედარებით (78.1%), ამგვარი მოსაზრების მქონე რესპონდენტთა წილი თითქმის მეოთხედითაა შემცირებული. იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ასეთ შეზღუდვას მიუღებლად მიიჩნევს, გაორმაგდა (2016 წელს ამგვარ რესპონდენტთა წილი მხოლოდ 14.6% იყო, ხოლო 2021 წელს 27.1%).[46] თუმცა აღსანიშნავია, რომ არასაკმარისი და თანასწორობის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის პირობებში ეს ცვლილება დადებით დამოკიდებულებებში არ ტრანსფორმირდება და მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების განწყობა იცვლება, ის შეიძლება ნეგატიურიდან ნეიტრალურად გადაიქცეს.

და ბოლოს, ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებული კვლევაც ადასტურებს, რომ მრავალფეროვნების მიმართ დამოკიდებულების კონტექსტში ლგბტქი+ ჯგუფი ყველაზე დაბალ დადებით შეფასებას იღებს „საქართველოს განვითარებისთვის მათი მნიშვნელობის“ ჭრილში. გამოკითხულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა აღნიშნა, რომ

---

[44] ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (2016) წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე: კვლევა ლგბტ თემის და მათი უფლებების მიმართ სოციალური დამოკიდებულებების, ცოდნისა და ინფორმაციის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://wisg.org/Data/docs/publications/research-study/WISG_HomoBiTransPhobia_Study.pdf

[45] გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). (2020). მამაკაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოებრივი აღქმები და დამოკიდებულებები. ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/georgia/publications/men-women-and-gender-relations-georgia-public-perceptions-and-attitudes

[46] ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (2022) წინარწმენიდან თანასწორობამდე. Vol.2 | საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ(ქ)ი თემისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ. ხელმისაწვდომია: https://wisg.org/Data/docs/publications/research-study/WISG-From-Projudice-to-Equality-2022.pdf

ლგბტქი+ უფლებების დაცვა მათთვის არსებითად არაა მნიშვნელოვანი. ანალიზმა აჩვენა, რომ ადამიანთა დამოკიდებულებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, სქესი—კერძოდ, კაცები ნაკლებად მხარს უჭერენ ლგბტქი+ უფლებებს, ვიდრე რელიგიური უმცირესობების უფლებებს. ამასთან, ის რესპონდენტები, რომლებმაც უმცირესობების უფლებებზე მეტი ინფორმაცია აქვთ, მეტად აფასებდნენ ლგბტქი+ პირების დაცულობის მნიშვნელობას.[47]

კვლევის ამ შედეგებზე არსებით გავლენას ახდენს სახელმწიფო პოლიტიკის ნაკლოვანებები. საზოგადოებრივი განწყობების ცვლილებას საინფორმაციო-საგანმანათლებლო ინიციატივები, განათლების სისტემაში თანასწორობის საკითხების ინტეგრირება და საჯარო პოლიტიკის მხარდაჭერა ესაჭიროება. ამის საპირწონედ, საქართველოში საჯარო დისკურსი დისკრიმინაციის და სიძულვილის ენის მთავარ გამავრცელებლად იქცა, ხოლო სახალხო დამცველიც კი, რომელიც თანასწორობის ორგანოს ფუნქციას ასრულებს, საჯაროდ ერიდება ლგბტქი+ საკითხებზე საუბარს.

ულტრამემარჯვენე და ძალადობრივი ჯგუფების გავლენა სახელმწიფო პოლიტიკაზე

ეკლესია ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე სანდო ინსტიტუტად რჩება, ხოლო მისი პოზიცია „ზნეობაზე“ - განსაკუთრებით სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებში - არსებით გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე. ეს გარემო ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს ულტრამემარჯვენე მოძრაობებისთვის, რომლებიც რელიგიურ ავტორიტეტებთან თანამშრომლობით ლგბტქი+ საკითხებს ქართული იდენტობის, კულტურისა და ეროვნული ღირებულებების ხელყოფად წარმოაჩენენ. მათ მიერ ჩადენილი არაერთი ძალადობრივი აქტის მიუხედავად, მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელება ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა, რაც აჩენს განცდას, რომ ეს ჯგუფები ხელისუფლების მიერ არის მართული.

მნიშვნელოვანია, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფები საქართველოში როგორც პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართული პოლიტიკური პარტიების, თუ ადამიანების სახით, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების ფორმით გვევლინებიან. პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად მონაწილე ჯგუფებიდან აღსანიშნავია „პატრიოტთა ალიანსი“ და „ხალხის ძალა“, რომელთა რიგებს ბოლო წლებში შეცვლილი პოლიტიკური კურსით პარტია „ქართული ოცნებაც“ შეუერთდა. არასამთავრობო ორგანიზაციების თუ გაერთიანებების სახით რამდენიმე ორგანიზაცია გამოირჩევა აქტიურობით, როგორიცაა ქართული მარში, ქართული იდეა, ქართული ძალა, ალტ-ინფო, ბავშთა უფლებების დაცვის საზოგადოება და სხვა.

მათი ძირითადი ფოკუსი ნაციონალიზმი და ჰომოფობიური რიტორიკაა, რომლის გასავრცელებლად აქტიურად იყენებენ როგორც სოციალურ ქსელებს, ისე საკუთარი მედიასაშუალებების შექმნითაც ცდილობენ ანტიდასავლური პროპაგანდის გავრცელებას და საზოგადოებაში სიძულვილის გაღვივებას. ამის ნათელი მაგალითია ალტ ინფო, რომელიც წლების განმავლობაში გამოირჩეოდა პრორუსული და ჰომოფობიური რიტორიკით. 2024 წელს ალტ ინფომ მაუწყებლობა შეწყვიტა, თუმცა სხვა ორგანიზაციების

[47] ევროპის საბჭო. (2021). სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: დამოკიდებულებები და ცნობიერება. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/book-eng/1680a583d0

წევრები ყველა საინფორმაციო პლატფორმას იყენებენ სიძულვილის გაღვივების და საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების გაძლიერებისთვის.[48]

2020 წელს, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული კვლევის „ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული რიტორიკა და ტენდენციები სოციალურ ქსელებსა და ონლაინ მედიაში“ შედეგები მიუთითებს, რომ „საქართველოში ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერულ რიტორიკას თან ერთვის ჰომოფობიური განწყობების გაღვივების ტენდენცია. ხშირ შემთხვევაში ულტრამემარჯვენე ლიდერები სხვადასხვა მედია საშუალებებსა და არასამთავრობო სექტორს ბრალს სდებენ „გარყვნილების პროპაგანდასა“ და „ერის გარყვნაში“.“[49]

ყველაზე დიდი აქტიურობით ულტრამემარჯვენე ჯგუფები ლგბტქი+ ადამიანების თუ ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ ღონისძიებებზე გამოირჩევიან. ამ მოძრაობების მობილიზების ერთ-ერთი საკვანძო ფორმა საჯარო აქციები და საპასუხო დემონსტრაციებია, განსაკუთრებით ისეთ ღონისძიებებზე, როგორიცაა ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე, თბილისი პრაიდი, სხვადასხვა კონფერენცია თუ ფესტივალია. მათი მხრიდან ფიზიკური თავდასხმის, ძალადობის მუქარის, ორგანიზებული ძალადობის თუ სიძულვილის შემთხვევებზე სახელმწიფოს ეფექტიანი რეაგირება ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა. რაც თავისთავად ამ ჯგუფებში დაუსჯელობის სინდრომის გაძლიერებას იწვევდა და ვერ ახერხებდა ძალადობრივი ფაქტების პრევენციას. წლების განმავლობაში განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო ქვეყნის საჯარო პირების მხრიდან ლგბტ+ ადამიანებისა და ძალადობრივი კონტრდემონსტრანტების ორ მოწინააღმდეგე მხარედ განხილვის ტენდენციაც.[50]

საბოლოოდ, საქართველოში ულტრამემარჯვენე რადიკალიზაციისა და ლგბტქი+ საკითხების პოლიტიზაციის პროცესი უკავშირდება სახელმწიფო პოლიტიკის კურსს, რომელიც მკვეთრად დისკრიმინაციულია. ძალადობრივი ჯგუფების გაძლიერება კი სწორედ არაეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგია, რომელიც არ ტოვებს სივრცეს არათუ ლგბტქი+ საკითხების განხილვის, არამედ ზოგადად, თანასწორობის საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის.

სახელმწიფოს პოლიტიკის გავლენა ლგბტქი+ ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო მეტად იხრება ლგბტქი+ თემის უფლებების შეზღუდვისა და მათი სოციალური თუ პოლიტიკური სივრციდან განდევნისკენ. სახელმწიფოს ეს მიდგომა ყველაზე ნათლად ჩანს ისეთ ინიციატივებში, როგორიცაა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის მიღება. აღნიშნული კანონის მიღებამ ლგბტქი+ თემისთვის შექმნა უამრავი დაბრკოლება, რაც არ შემოიფარგლება მხოლოდ ინდივიდუალური უფლებების ხელყოფით, არამედ გავლენას ახდენს ფართომასშტაბიან სოციალურ და კოლექტიურ პროცესებზე.

კანონის მიღებამ გამოიწვია არა მხოლოდ ლგბტქი+ პირების უფლებების შეზღუდვას, არამედ ამ უფლებების ხელყოფის ლეგიტიმაცია სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე.

[48] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33176693.html
[49] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი. 2020. ანგარიში ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/jGP00
[50] საქართველოს სახალხო დამცველი. 2021. ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022042914343766642.pdf

შედეგად, ინდივიდუალური დონეზე იზღუდება პიროვნული თავისუფლება, თვითგამოხატვის უფლება, სოციალური უსაფრთხოება და ჯანდაცვაზე წვდომა. კოლექტიურ დონეზე კი ეს იწვევს საზოგადოების პოლარიზაციას, დისკრიმინაციის ინსტიტუციონალიზაციას და ისეთ გარემოს, სადაც ლგბტქი+ თემის უფლებების დაცვა შესაძლოა აღიქმებოდეს, როგორც „წინააღმდეგობრივი“ სახელმწიფოს მიერ დეკლარირებულ ღირებულებებთან. ამასთან, კანონით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენა, სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას გამოიწვევს, მაგალითისთვის, სამედიცინო მომსახურება ექიმის მხრიდან, საგანამანათლებლო დაწესებულებაში ლგბტქი+ საკითხების განხილვა და სხვა.

ამ თავში განხილული იქნება, თუ როგორ აისახა მსგავსი პოლიტიკა ლგბტქი+ თემის სამართლებრივ მდგომარეობაზე, როგორი გამოწვევები შექმნა აღნიშნულმა კანონმა მათი ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებებისთვის, და როგორ გავლენას ახდენს სახელმწიფოს პოლიტიკა ლგბტქი+ ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ამასთან, თუ რა გავლენას ახდენს სახელმწიფოს არათანმიმდევრული პოლიტიკა ჰომოფობიურად განწყობილი ჯგუფების აგრესიის მასშტაბებსა და დისკრიმინაციულ დანაშაულებზე.

უსაფრთხოების და დაცულობის საკითხები

საქართველოში ლგბტქი+ ორგანიზაციები ბოლო პერიოდში განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ უსაფრთხოებისა და დაცულობის თვალსაზრისით. ჰომოფობიური გარემო, რომელიც უკვე მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა, 2024 წლის ზაფხულში კიდევ უფრო გამწვავდა, როცა ლგბტქი+ ორგანიზაციების ოფისებზე გახშირდა ვანდალიზმისა და თავდასხმის შემთხვევები. მაისი-ივნისის პერიოდში, არასამთავრობო ორგანიზაციების შენობებს და აქტივისტების სახლებს წითელი საღებავი შეასხეს, ესროდნენ კვერცხებს და ტოვებდნენ შეურაცხმყოფელ წარწერებს, რომლებიც, მათ შორის, გამიზნული იყო ლგბტქი+ აქტივისტებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლების წინააღმდეგ.

უსაფრთხოების გამოწვევას კიდევ უფრო ამძაფრებს უნდობლობა სამართალდამცავი სტრუქტურების მიმართ. ლგბტქი+ აქტივისტები ხშირად უჭირთ პოლიციასთან თანამშრომლობა, რადგან შიშობენ, რომ სამართალდამცველები ან ვერ შეძლებენ, ან არ ისურვებენ მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. უსაფრთხო გარემოს არარსებობა დამატებით გაამწვავა ანტი-ლგბტქი+ კანონის მიღებამ, რომელმაც კიდევ უფრო შეამცირა თემის წარმომადგენლების შესაძლებლობა, მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესახებ განაცხადონ სამართალდამცავ უწყებებში. აქტივისტები მიიჩნევენ, რომ კანონმა „მსუსხავი ეფექტი“ მოახდინა, რის გამოც ადამიანები ერიდებიან სამართალდამცველ ორგანოებთან დაკავშირებას, რადგან შიშობენ შესაძლო უარეს შედეგებს ან საზოგადოების მხრიდან მზარდ აგრესიას. ამ ყოველივემ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ის მცირე პროგრესიც რაც არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით სამართალდამცავი უწყებებისადმი ნდობის გაძლიერებას უკავშირდებოდა.[51] პოლიტიკური კრიზისის ფონზე შეჩერებულია ყველა საკოორდინაციო თუ თანამშრომლობის პლატფორმა, რაც ამ მიმართულებით რაიმე პროგრესის მიღწევას შეუძლებელს ხდის. მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ

[51] შეხვედრა სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

პოლიციის მხრიდან გამოყენებული ძალადობა და წამების პრაქტიკა კიდევ უფრო მეტად ამცირებს ნდობას მათ მიმართ.[52]

ანალოგიურად, გაიზარდა პრობლემები უსაფრთხო თავშეყრის სივრცეებთან დაკავშირებით. ხშირდება შემთხვევები, როცა ლგბტქი+ აქტივისტები სასურველ ადგილას შეკრების ნაცვლად, ირჩევენ ალტერნატიულ ლოკაციებს, ან საღამოს საათებში საჯარო ტრანსპორტის ნაცვლად ტაქსით სარგებლობენ, რათა თავიდან აირიდონ შესაძლო ძალადობა. ეს მიანიშნებს, რომ თემის ყოველდღიური ცხოვრება მოითხოვს უსაფრთხოების ახალი სტრატეგიების შემუშავებას, რაც მათ მოქმედების თავისუფლებას უზღუდავს.

განსაკუთრებით მძიმე გამოწვევებია ტრანსგენდერი პირებისთვის. ბოლო პერიოდში დაფიქსირდა ქუჩაში სიტყვიერი შეურაცხყოფისა და შევიწროების შემთხვევები, საიდანაც სულ მცირე ორმა შემთხვევამ მიიღო ფიზიკური თავდასხმის ფორმა.[53] წინასაარჩევნო პერიოდში, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წევრმა შეურაცხყოფა მიაყენა ტრანსგენდერ ქალს; მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ რეაგირება მოახდინა, სავარაუდო მოძალადე გირაოთი გაათავისუფლეს. ბათუმში, ზაფხულის პერიოდში, ორი ტრანსგენდერი ქალი საჯაროდ გახდნენ ჰომოფობიური შეურაცხყოფისა და მუქარის მსხვერპლი, მათ შორის თავად პოლიციელებისგან. ამგვარ ვითარებაში, დაზარალებულთა ნაწილი თვლის, რომ სპეციალურ საგამოძიებო ორგანოში მიმართვა უსარგებლოა. პოლიტიკური ჰომოფობიის ინსტიტუციონალიზაციის გამოძახილია კესარია აბრამიძის მკვლელობის ფაქტი, რომელიც სასტიკი ძალადობის მსხვერპლი გახდა.[54]

ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს, რომ საქართველოში ლგბტქი+ პირების უსაფრთხოებისა და დაცულობის შეგრძნება კვლავ საგანგაშო ნიშნულზეა. თემის წევრები იზოლაციაში ექცევიან არა მხოლოდ უშუალო ძალადობის შიშის გამო, არამედ იმის გამოც, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებმა საკმარისი ნაბიჯები ვერ გადადგეს მათი დაცვისა და მხარდაჭერისთვის. ეს გარემო კიდევ უფრო მეტად აყალიბებს პრიორიტეტად უსაფრთხოების პოლიტიკის, უფრო მკაცრი სამართლებრივი გარანტიების და საზოგადოებრივი მხარდაჭერის სისტემების შექმნას, რათა ლგბტქი+ ადამიანები რეალურად იგრძნობდნენ თავს დაცულად და ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობა იცხოვრონ თავისუფალ გარემოში.

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა

ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ცვლილებებმა საზიანო გავლენა მოახდინა ლგბტქი+ თემის წარმომადგენლებისთვის საჭირო ჯანდაცვის სერვისებზე. ახალი კანონის მიხედვით, ტრანსგენდერ ადამიანებს სრულად ეზღუდებათ ჯანდაცვის უფლება. კანონი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ექიმების, თუ სხვა სამედიცინო პერსონალისთვის, რომლებიც ლგბტქი+ თემის წევრებს სამედიცინო მომსახურებას გაუწევენ. აღნიშნული, სრულიად გამორიცხავს მათ შორის სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის აუცილებელი სამედიცინო პროცედურების ჩატარებას და ნებისმიერ მანიპულაციას.

---

[52] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. საქართველოში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვლევის წინასწარი მიგნებები. 2024. ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/tsameba-da-araadamianurimopkroba-saerto-gancxadeba

[53] ინტერვიუები ლგბტქი+ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

[54] კოალიცია თანასწორობისთვის განცხადება. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/story.php?story_fbid=910480041114194&id=100064566197410

იმ ფონზე, როდესაც საქართველოში ლგბტქი+ თემისთვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა არასდროს ყოფილა სრულფასოვანი და სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართულებით არ იცვლებოდა. კერძოდ, წლების განმავლობაში სამთავრობო დონეზე მკაფიო გზამკვლევების და პროტოკოლების არარსებობა მნიშნელოვან პრობლემად რჩებოდა. გარდა ამისა, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ლგბტქი+ ადამიანების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულებები ფართოდ არის გავრცელებული. თემის წევრები იძულებულნი იყვნენ, დაემალათ საკუთარი ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ან საერთოდ არ მიემართათ სამედიცინო დაწესებულებისთვის, რადგან შიშობდნენ სტიგმის, უპატივცემულობისა და არასათანადო მოპყრობის გამო. ეს არაერთი კვლევით დადასტურდა, სადაც ტრანსგენდერი პირები პირდაპირ მიუთითებდნენ იმაზე, რომ სამედიცინო პერსონალი ხშირად არ ენდობოდა მათ ისტორიებს, არ ემსახურებოდა სათანადოდ და ზოგჯერ ღიად გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას.[55] ბოლო საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე კი მინიმალური სტანდარტის მომსახურებაც კი გამოწვევად იქცა.

გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება

ლგბტქი+ თემისთვის საქართველოში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. ახალი კანონი კრძალავს იმ სახის შეკრებას, რაც შეიძლება სექსუალურ ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საკითხებს შესაძლოა უკავშირდებოდეს. რაც აქრობს შესაძლებლობას ლგბტქი+ თემის წინაშე არსებული გამოწვევების საჯარო ადვოკატირება მოხდეს, მათ შორის მშვიდობიანი შეკრების გზით.

2012 და 2013 წლებში, ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნისას, ლგბტქი+ პირები არაერთი ძალადობრივი თავდასხმის სამიზნე გახდნენ.[56] სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ლგბტქი+ თემის გამოხატვის თავისუფლების დაცვა და ძალადობის თავიდან აცილება.[57] განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო 2021 წლის 5 ივლისის მოვლენები, როცა ძალადობრივი ჯგუფები თავს დაესხნენ ჟურნალისტებს, ადამიანის უფლებათა დამცველებსა და მოქალაქეებს, ხოლო ძალადობის ორგანიზატორები პასუხისმგებლობაში არ ყოფილან მიცემულნი, რაც დაუსჯელობის განცდას აძლიერებს. სამართალდამცავმა უწყებებმა სრულფასოვნად ვერ მოახერხეს ძალადობის წყაროს - ორგანიზატორების გამოვლენა და დასჯა. არც წინა წლებში განხორციელებული ძალადობის თუ ძალადობის მოწოდების გამო დასჯილა ვინმე.[58]

ამ შემთხვევებში პოლიციამ სათანადო რეაგირება ვერ მოახდინა, რამაც გავლენა იქონია ლგბტქი+ აქტივისტების უსაფრთხოებაზე. მსგავსად, 2023 წელსაც, თბილისში გამართული პრაიდის ღონისძიებები ექსტრემისტულად განწყობილი ჯგუფების თავდასხმის სამიზნე

[55] თანასწორობის მოძრაობა. (2022) ლგბტქი+ თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების შესახებ კვლევა საქართველოში. ხელმისაწვდომია: https://equality.ge/8331

[56] საქართველოს სახალხო დამცველი. ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში. 2022. გვ. 30-31. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022042914343766642.pdf

[57] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://wisg.org/ka/news/detail/344/evropuli-sasamartlo-2013-tslis-17-maisis-sakmeze-sakartvelom-konventsiis-3-mukhli-daarghvia

[58] საქართველოს სახალხო დამცველი. ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში. 2022. გვ. 32-34. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022042914343766642.pdf

გახდა, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული რეაგირება კვლავ არასათანადო აღმოჩნდა.[59]

გენდერის სამართლებრივი აღიარება

ანტი-ლგბტქი+ კანონმდებლობის ფარგლებში, გენდერის სამართლებრივი აღიარების შესაძლებლობა სრულად აიკრძალა.[60] მანამდე არსებული პრაქტიკის მიხედვით, საქართველოში გენდერის სამართლებრივი აღიარება მკაფიო სამართლებრივ რეგულირებას არ ექვემდებარებოდა და სამოქალაქო აქტებში ცვლილების საფუძვლად „სქესის შეცვლა" იყო მითითებული, აღნიშნული წესი პრაქტიკაში იმგვარად განიმარტებოდა, რომ მოითხოვდა ადამიანებისგან იძულებითი და ზოგჯერ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი ქირურგიული ჩარევის გავლას, რათა მოახერხებინათ სასურველი გენდერის აღნიშვნა დოკუმენტებში.[61]

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს სახელმწიფოს დაავალა შეემუშავებინა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მექანიზმები, რომლებიც ტრანსგენდერი ადამიანების გენდერის სამართლებრივი აღიარებას და მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას ითვალისწინებს[62], აღნიშნული კანონი გამორიცხავს გენდერული იდენტობის შესაბამისად სქესის მარკერის შესწორების ნებისმიერ შესაძლებლობას სახელმწიფო დოკუმენტებში. დისკრიმინაციული კანონმდებლობის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას და სრულად აუქმებს ტრანსგენდერი ადამიანებისთვის სამოქალაქო დოკუმენტებში გენდერის აღნიშვნის შესაძლებლობას.

განათლებისა და შრომის უფლება

ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში ლგბტქი+ თემის წევრები საგანმანათლებლო დაწესებულებებში სხვადასხვა ფორმის ჩაგვრასა და დისკრიმინაციას განიცდიან. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტებსა და პროფესიულ სასწავლებლებში შედარებით უფრო გახსნილი გარემო შეინიშნება, სტუდენტებისა და ლექტორების ნაწილის მხრიდან ჰომოფობიური დამოკიდებულება კვლავ პრობლემად რჩება.[63]

შრომის ბაზარზე დისკრიმინაცია არანაკლებ აქტუალურ გამოწვევად რჩება. როგორც გაეროს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიშშია აღნიშნული, ლგბტქი+ თემის წევრებს, განსაკუთრებით ტრანსგენდერ ადამიანებს, სრულიად არათანაბარ პირობებში უწევთ მუშაობა. მათი მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება გენდერის სამართლებრივი

---

[59] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://edition.cnn.com/2023/07/08/europe/tbilisi-georgia-anti-lgbtq-pride-festival-intl/index.html
https://www.theguardian.com/world/2023/jul/09/anti-lgbtq-protesters-break-up-pride-event-in-georgian-capital-tbilisi

[60] საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ. მუხლი 7. 2024. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0

[61] საქართველოს სახალხო დამცველი. ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში. 2022. გვ. 19. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022042914343766642.pdf

[62] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://wisg.org/ka/news/detail/363/adamianis-uflebata-evropulma-sasamartlom-genderis-samartlebrivi-aghiarebis-sakmeebze-me-8-mukhlis-darghveva-daadgina

[63] თანასწორობის მოძრაობა. (2022) ლგბტქი+ თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების შესახებ კვლევა საქართველოში. ხელმისაწვდომია: https://equality.ge/8331

აღიარების არარსებობის გამო, რაც კანონიერ შრომით ურთიერთობებში შესვლას აფერხებს და ხშირად იძულებულს ხდის მათ, დათანხმდნენ არაოფიციალურ ან არასათანადო სამუშაო პირობებს.[64]

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში მცხოვრები ლგბტქი_ თემისთვის რთულია ღირსეული და დაცული სამუშაო ადგილის პოვნა. ძირითადად, თემის წევრები მწირი შემოსავლებით, ყოველგვარი გარანტიების გარეშე, არაფორმალურად შრომობენ. ისინი, როგორც დასაქმებული პირები, ძირითადად, მომსახურების სექტორში არიან დასაქმებული.[65] ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად დაამძიმა სახელმწიფოს დისკრიმინაციულმა პოლიტიკამ, რომელმაც კიდევ მეტად უხილავი გახადა ის ბარიერები რასაც ლგბტქი+ ადამიანები დასაქმების სფეროში აწყდებოდნენ. ფაქტობრივად კი შრომით სფეროში დისკრიმინაციის დაკანონებასაც შეუწყო ხელი.

ანტი-ლგბტქი+ კანონმა საგრძნობლად იმოქმედა როგორც საგანმანათლებლო პროცესზე ისე დასაქმების შესაძლებლობებზე. სკოლებსა და უნივერსიტეტებში ფაქტობრივად აიკრძალა ლგბტქი+ საკითხებზე საჯარო განხილვა, რაც ხელი შეუწყობს დეზინფორმაციის გავრცელებას და ნეგატიური სტერეოტიპების განმტკიცებას. განსაკუთრებით პრობლემურია, კანონში გამოყენებული ტერმინის „პოპულარიზაციის“ განმარტება, რომელიც ობიექტური დამკვირვებლის კრიტერიუმს მოიცავს, ხოლო თუ რა შეიძლება იყოს თავად ობიექტური დამკვირვებლის განმსაზღვრელი ან კონკრეტულად რა ქმედება შეიძლება მოექცეს ამ ტერმინით აკრძალულ ქმედებებს შორის - ბუნდოვანია. ასეთი საკანონმდებლო გარემო არა მხოლოდ დისკრიმინაციის ზრდას იწვევს, არამედ უშუალოდ არღვევს ლგბტქი+ პირების უფლებას, მიიღონ განათლება და დასაქმდნენ დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოში.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შექმნისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კუთხით, ლგბტქი+ საკითხების გაქრობა სახელმწიფო პოლიტიკის დღის წესრიგიდან და დისკრიმინაციული კანონმდებლობის შემოღება არსებით უკუსვლაზე მიუთითებს. ევროინტეგრაციისა და დემოკრატიზაციის პროცესში მიღებული საკანონმდებლო ჩარჩო (მაგალითად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი) თავდაპირველად ქმნიდა პოზიტიურ მოლოდინს, თუმცა 2024 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა კანონის რეალური ზეგავლენა.

უკანასკნელ პერიოდში პოლიტიკურ დონეზე გახშირებულმა ჰომოფობიურმა განცხადებებმა, სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან მოწოდებებმა ე.წ. ანტი-ლგბტქი+ კანონის სასარგებლოდ და სხვა საკანონმდებლო ინიციატივებმა არსებითად გაამძაფრა დისკრიმინაციული გარემო. სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც ფორმალურად გენდერული თანასწორობის გაძლიერებაზე მუშაობენ, პრაქტიკაში მხოლოდ ვიწრო ჰეტერონორმატიული პერსპექტივით მოქმედებენ და არ მუშაობენ ლგბტქი+ საკითხებზე.

[64] Visit to Georgia: Report of the Independent Expert on Protection Against Violence and Discrimination Based on Sexual Orientation and Gender Identity, 2019. Available at: https://shorturl.at/gpuX8

[65] ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი. 2022. Covid 19-ის გავლენა ლგბტ თემზე. გვ, 174. ხელმისაწვდომია: https://wisg.org/Data/docs/publications/research-study/WISG_Covid-impact-on-LGBTQI-community-GE.pdf

ამასთან, განსაკუთრებით სამწუხაროა სახალხო დამცველის საჯარო პოზიციონირებიდან ლგბტქი+ საკითხების გაქრობა, რაც არსებული სახელმწიფო პოლიტიკის გამოძახილად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

უსაფრთხოებისა და დაცვის თვალსაზრისით, ლგბტქი+ ორგანიზაციებზე, აქტივისტებზე და თემის წევრებზე განხორციელებულმა თავდასხმებმა, მათი ოფისების ვანდალიზმმა და ძალადობის ფაქტებზე რეაგირების სიმწირემ, აჩვენა, რომ სამართალდამცავ ორგანოებს თუ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ ადეკვატური ნება ან რესურსი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციისა და გამოძიებისთვის. ჯანდაცვის, განათლებისა და შრომის ხელმისაწვდომობის მიმართულებით არსებული გამოწვევები კიდევ უფრო ამძაფრებს ლგბტქი+ თემის ისედაც რთულ სოციალურ მდგომარეობას, მით უმეტეს, რომ ანტი-ლგბტქი+ რიტორიკის ფონზე, საკანონმდებლო სიახლეები საშუალებას უტოვებს ინსტიტუციურ თუ კერძო პირებს, დისკრიმინაციულად შეზღუდონ ამ ჯგუფის უფლებები.

ამგვარად, ლგბტქი+ საკითხები საქართველოში მიიჩნევა „დამალულ“ ან „გამქრალ“ თემად, განსაკუთრებით სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე. ასეთი უკუსვლა მიმანიშნებელია ქვეყნის დემოკრატიული პროცესისთვის სახიფათო ტენდენციაზე, რომლის დროსაც ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობა რეგრესს განიცდის.